ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 343

“ 25 ” ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში, 1 სართულზე არსებული 545.99 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედისთვის“ (ს/კ. 206269045) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში, 1 სართულზე არსებული 545.99 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედისთვის“ (ს/კ. 206269045) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 30 ივნისის №25.1090.1229 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში, 1 სართულზე არსებული 545.99 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედისთვის“ (ს/კ. 206269045) უსასყიდლო უზუფრუქტის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, სამედიცინო ცენტრის ფუნქციონირების მიზნით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე